

### N3 დანართი

#### ტარიფები და გადახდის პირობები

1. ხელშეკრულების ფარგლებში რეგისტრატორის მიერ ადმინისტრატორისთვის გადასახდელი თანხა განისაზღვრება დომენური სახელის ტიპით, რაოდენობით და მისი ღირებულებით ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

დომენური სახელის ტიპი	დომენური სახელის რაოდენობა	ერთი დომენური სახელის 1 წლით რეგისტრაციის ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით	ერთი დომენური სახელის 1 წლით რეგისტრაციის განახლების ღირებულება ლარში დღგ-ს ჩათვლით	სადეპოზიტო თანხა ლარში ("სადეპოზიტო თანხა")
.ge	1	28	28	
com.ge	1	10	10	
edu.ge	1	10	10	
org.ge	1	10	10	
pvt.ge	1	10	10	
net.ge	1	10	10	
school.ge	1	10	10	
ორ სიმბოლოიანი	1	800	800	

2. დომენური სახელის რეგისტრაციისას ან/და რეგისტრაციის განახლებისას რეგისტრატორი სარგებლოს ქვემოთ ცხრილში მოცემული ფასდაკლებით რეგისტრატორის პორტფელში არსებული დომენური სახელების რაოდენობის შესაბამისად:

დომენური სახელის ტიპი	დომენური სახელის რაოდენობა პორტფელში (ყველა ტიპის დომენური სახელის გათვალისწინებით)	ერთი დომენური სახელის 1 წლით რეგისტრაციის/რეგისტრაციის განახლების ფასდაკლება ლარში („ფასდაკლება“)
ყველა ტიპის გარდა ორ სიმბოლოიანის	<5000	0
“_”	5001-7500	2
“_”	7501-10000	3
“_”	>10000	4

3. რეგისტრატორი უფლებამოსილია ქვემოთ 3.1 პუნქტში მოცემული პირობების შესაბამისად ისარგებლოს წინსწრებად დომენური სახელების შესყიდვის შეთავაზებით („შეთავაზება“) იმ მიზნით, რომ ისარგებლოს მე-2 პუნქტში მოცემული ფასდაკლებით.

3.1 შეთავაზების პირობები:

(i) წინსწრებად შესასყიდი

**დომენური სახელების**

5000 (ხუთი ათასი)

რაოდენობა, ყველა ტიპის

**დომენური სახელის**

გათვალისწინებით

(ii) შეთავაზების სრული

ღირებულება

ლარში დღგ-ს ჩათვლით

130 000 (ას ოცდაათი ათასი)

(„შეთავაზების

ღირებულება“)

(iii) შეთავაზების

ღირებულების გადახდის

პირობა

1) რეგისტრატორი ვალდებულია გადაიხადოს შეთავაზების ღირებულება შეთავაზების მოქმედების ვადის განმავლობაში, 2 (ორი) კალენდარულ თვეში ერთხელ, არაუმეტეს 6 (ექვსი) თანაბარი ოდენობის ტრანშად;

2) შეთავაზების ღირებულების წინამდებარე პირველ პუნქტში მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში ადმინისტრატორი უფლებამოსილია გააფრთხილოს რეგისტრატორი და განუსაზღვროს 10 (ათი) სამუშაო დღე შეთავაზების ღირებულების ვადამოსული ნაწილის გადასახდელად. ასეთი 10 (ათი) დღიანი ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ ადმინისტრატორი უფლებამოსილია ცალმხრივად შეუწყვიტოს რეგისტრატორს შეთავაზების მოქმედება და დაარიცხოს რეგისტრატორს ჯარიმა ix ქვე-პუნქტით გათვალისწინებული წესით;

3) რეგისტრატორი უფლებამოსილია ვადაზე ადრე დაფაროს შეთავაზების ღირებულება.

(iv) შეთავაზების ძალაში

შესვლის პირობა

რეგისტრატორმა ადმინისტრატორს უნდა წარუდგინოს წერილობითი განაცხადი შეთავაზების გააქტიურების მოთხოვნით. შეთავაზება გააქტიურებულად ითვლება რეგისტრატორის მიერ წერილობითი განაცხადის

წარდგენის და შეთავაზების ღირებულების პირველი ტრანშის გადახდის მომენტიდან.

**შეთავაზების მოქმედების ვადის განმავლობაში**

**რეგისტრატორი ვალდებულია:**

(v) რეგისტრატორის ვალდებულებები

- 1) განახორციელოს 5000 (ხუთი ათასი) ტრანზაქცია, რაც მოიცავს ახალი დომენური სახელების რეგისტრაციას და დომენის რეგულაციის 5.4.6 მუხლით გათვალისწინებული პროცედურის შესაბამისად რეგისტრატორის ცვლილებას („ტრანსფერი“);
- 2) გადაიხადოს შეთავაზების ღირებულება ამ პუნქტში მოცემული პირობების შესაბამისად.

(vii) შეთავაზების მოქმედების ვადა

გააქტიურებიდან 12 (თორმეტი) თვე.

(viii) შეთავაზების დასრულების/შეწყვეტის პირობები

- 1) შეთავაზების მოქმედების ვადის გასვლა;
- 2) რეგისტრატორის მიერ შეთავაზების პირობების სრულად შესრულება;
- 3) რეგისტრატორის მიერ ამ დანართით განსაზღვრული შეთავაზების ღირებულების გადახდის პირობის დარღვევა.

იმ შემთხვევაში, თუ რეგისტრატორმა ვერ შეძლო მე-v ქვე-პუნქტით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულება, შეთავაზების მოქმედების ვადის ამოწურვის ან/და ვადაზე ადრე შეწყვეტის თარიღისთვის რეგისტრატორი ვალდებულია ადმინისტრატორს გადაუხადოს ჯარიმა. ჯარიმის ოდენობა შეადგენს სხვაობას: (ა) რეგისტრატორის მიერ მისი პორტფელის შესაბამისად ადმინისტრატორისთვის დომენური სახელის

(ix) ჯარიმა და ჯარიმის გადახდის პირობები

რეგისტრაციისთვის/ტრანსფერისთვის/რეგისტრაციის განახლებისთვის გადასახდელ თანხას (რომელი თანხის გადახდაც მოუწევდა რეგისტრატორს შეთავაზების მოქმედების გარეშე), და (ბ) შეთავაზების მოქმედების ფარგლებში ადმინისტრატორისთვის გადახდილ დომენური სახელის რეგისტრაციის/ტრანსფერის/რეგისტრაციის განახლების თანხას შორის („ჯარიმა“). ადმინისტრატორი უფლებამოსილია გამოქვითოს ჯარიმის თანხა

სადეპოზიტო ანგარიშიდან ან დავალიანების სახით დაარიცხოს რეგისტრატორს.

(ix) ანგარიშსწორება მხარეებს შორის შეთავაზების დასრულების/შეწყვეტის შემდეგ შეთავაზების მოქმედების დასრულების/შეწყვეტის შემდეგ რეგისტრატორსა და ადმინისტრატორს შორის ანგარიშსწორების მიზნებისთვის რეგისტრატორის პორტფელში დომენური სახელების რაოდენობა განისაზღვრება შეთავაზების მოქმედების დასრულების/შეწყვეტის თარიღისთვის რეგისტრატორის მიერ ფაქტობრივად რეგისტრირებული დომენური სახელების მიხედვით.

4. რეგისტრატორი ვალდებულია ხელშეკრულების გაფორმებისთანავე განათავსოს შესაბამისი სადეპოზიტო თანხა ადმინისტრატორის ანგარიშზე („სადეპოზიტო ანგარიში“).
5. ადმინისტრატორი რეგისტრატორის მიერ გადასახდელ თანხას გამოქვითავს რეგისტრატორის სადეპოზიტო ანგარიშიდან.
6. კალენდარული თვის დასრულებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში ადმინისტრატორი წარუდგენს რეგისტრატორს ანგარიშ-ფაქტურას ამ ხელშეკრულების ფარგლებში გასულ საანგარიშო თვეში რეგისტრირებული/რეგისტრაცია განახლებული დომენური სახელების შესახებ.
7. ადმინისტრატორი უფლებამოსილია შეუჩეროს რეგისტრატორს უფლებამოსილება, თუ რეგისტრატორს არ აქვს სადეპოზიტო ანგარიშზე საკმარისი თანხა დომენური სახელის რეგისტრაციის/რეგისტრაციის განახლების საფასურის გადასახდელად. სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის სრულად ამოწურვის შემთხვევაში რეგისტრატორი ვალდებულია ხელახლა განათავსოს სადეპოზიტო თანხა სადეპოზიტო ანგარიშზე. ადმინისტრატორი გააუქმებს რეგისტრატორის უფლებამოსილებების შეჩერებას ასეთი შეჩერების მიზეზის აღმოფხვრისთანავე. რეგისტრატორის მიერ ამ პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების შეჩერების საფუძვლის ზედიზედ 3 (სამი) თვის განმავლობაში აღმოუფხვრელობის შემთხვევაში ადმინისტრატორი უფლებამოსილია ცალმხრივად ვადაზე ადრე შეუწყვიტოს ხელშეკრულება რეგისტრატორს.

მხარეთა ხელმოწერები:

რეგისტრატორის სახელით

ადმინისტრატორის სახელით

---

---